დანართი IV

საქონლის, სამუშაოებისა და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

ა. ზოგადი

1. სესხის სახსრებით დასაფინანსებელი საქონლის, სამუშაოებისა და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა დაექვემდებარება შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებს და საკონსულტაციო მომსახურების სახელმძღვანელო პრინციპებს.

2. ყველა ტერმინი, რომელიც არ არის განმარტებული წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებაში, გამოიყენება იმ ნიშვნელობით, რომლეიც მათ მინიჭებული აქვთ შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებში და/ან საკონსულტაციო მომსახურების სახელმძღვანელო პრინციპებში.

ბ. საქონლისა და სამუშაოების შესყიდვა

3. თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება აზიის განვითარების ბანკთან, საქონლისა და სამუშაოების შესყიდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესყიდვის ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდების საშუალებით

საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა
ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა
შოპინგი
პირდაპირი კონტრაქტი

4. სხვა ფაქტორებთან ერთად, შესყიდვების მეთოდები განისაზღვრება შესყიდვების გეგმაში წარმოდგენილი ღირებულური ღონისძიებებისა და ზღვრული თდენობების საფუძველზე. სესხის აღებს ამ ღონისძიებებისა და ზღვრული თდენობების შეცვლის უფლება აქვს მხოლოდ აზიის განვითარების ბანკის წინასწარი თანხმობის საფუძველზე და ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა აისახოს განახლებულ შესყიდვების გეგმაში.

5. <u>ადგილობრივი კონტრაქტორებისათვის/მწარმოებლებისათვის უპირატესობის მინიჭება</u>. საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის შემთხვევაში საკონკურსო წინადადებების შეფასებისას სესხის

ამღებს შეუძლია საპროცენტო შეღავათები მიანიჭოს ადგილობრივად წარმოებულ საქონელს შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპების 2.55 (ა) და 2.56 პარაგრაფების შესაბამისად.

6. ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა. ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის საშუალებით შესყიდვის დაწყებამდე სესხის ამღებმა და აზიის განვითარების ბანკმა უნდა უზრუნველყონ, რომ სესხის ამღების ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურები შეესაბამება შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებს. სესხის ამღებისა და აზიის განვითარების ბანკის თანხმობით განხორციელებული ამ პროცედურების ნებისმიერი ცვლილება ან განმარტება უნდა აისახოს შესყიდვების გეგმაში. შემდგომი ცვლილება ან განმარტება ძალაში შევა მხოლოდ სესხის ამღებისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ ამ ცვლილებების წერილობით დამტკიცების შემდეგ.

გ. საკონსულტაციო მომსახურების შერჩევა

7. ხარისხისა და ფასზე დაფუძნებული შერჩევა. თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება აზიის განვითარების ბანკთან, ქვემოთ მოცემულ მე-8 და მე-9 პუნქტებში აღნიშნული გამონაკლისების გარდა, სესხის ამღებმა საკონსულტაციო მომსახურების შერჩევისა და განხორციელებისას უნდა გამოიყენოს ხარისხისა და ფასის საფუძველზე შერჩევა.

8. სესხის ამღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ გარკვული საკონსულტაციო მომსახურების შერჩევისა და განხორციელებისათვის გამოყენებული იქნეს შერჩევის შემდეგი მეთოდები შესყიდვების გეგმაში წარმოდგენილი პროცედურების შესაბამისად:

ხარისხის საფუძველზე შერჩევა
კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე შერჩევა
უმცირესი ღირებულების საფუძველზე შერჩევა
ფიქსირებული ბიუჯეტით შერჩევა
ერთი წყაროდან შერჩევა

9. სესხის ამღებმა უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური კონსულტანტების აყვანა აზიის განვითარების ბანკისათვის მისაღები ინდივიდუალური კონსულტანტების აყვანის პროცედურების შესაბამისად.

დ. საწარმოო და ინტელექტუალური საკუთრების უფლება

10. (ა) სესხის ამღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ საქონლისა და სამუშაოების შესყიდვისას (მათ შორის, შეზღუდვების გარეშე კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სისტემები, ცალკე ან როგორც სხვა შესყიდული საქონლისა და მომსახურების ნაწილი) არ დაირღვეს საწარმოო ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ან მესამე მხარის მოთხოვნები.

(ბ) სესხის ამღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ საქონლისა და სამუშაოების შესყიდვის ყველა კონტრაქტი შეიცავდეს ზემოთ, (ა) ქვეპარაგრაფში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კონტრაქტორის ან საქონლის მიმწოდებლის შესაბამის განცხადებებს, გარანტიებს და, საჭიროებისამებრ, ასევე ზარალის ანაზღაურების გარანტიებსაც.

11. სესხის ამღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ კონსულტანტებთან გაფორმებული აზიის განვითარების ბანკის მიერ ფინანსირებადი ყველა კონტრაქტი შეიცავდეს შესაბამის განცხადებებს, გარანტიებს და, საჭიროებისამებრ, ასევე ზარალის ანაზღაურების გარანტიებსაც, რომ აღნიშნული საკონსულტაციო მომსახურება არ არღვევს საწარმოო ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს ან მესამე მხარის მოთხოვნებს.

ე. აზიის განვითარების ბანკის მიერ შესყიდვების გადაწყვეტილებების განხილვა

12. საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად შესყიდული ყველა კონტრაქტი და საკონსულტაციო მომსახურების კონტრქტი წინასწარ უნდა იქნეს განხილული აზიის განვითარების ბანკის მიერ, თუ ADB-სა და მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება და შესყიდვების გეგმაში სხვაგვარად არ არის მითითებული.